

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სამეგრელოს ბაღები“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7-17

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		980789	1100217
არამატერიალური აქტივები		99167	99167
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები		219363	219363
		1299319	1418747
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტები		3826	1618
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		62039	31046
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		62646	61595
გადახდილი ავანსები		23891	19802
		152402	114061
მთლიანი აქტივები		1451721	1532808
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1292596	1201295
დაუფარავი ზარალი		-1350224	-1088360
		-57628	112935
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		288787	355121
ვალდებულებების და ზარჯების ანარიცხები		155779	121901
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		1064784	942851
		1509349	1419873
მთლიანი ვალდებულებები		1509349	1419873
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		1451721	1532808

Director : Diederik Theodorik Aleven

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის 31
დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ქართულ
ლარში)


	<u>შენიშვნა</u>	<u>31.12.2019</u>	<u>31.12.2018</u>
ამონაგები		223528.1	213640.14
თვითღირებულება		-157211.7	-254067.67
საერთო მოგება		66316.4	-40427.53
სხვა			
შემოსავლები		322.85	1862.72
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი		-328502.5	-328948.77
საოპერაციო ზარალი		-261863.25	-367513.58
ზარალი დაბეგვრამდე		-261863.25	-367513.58
წმინდა ზარალი		-261863.25	-367513.58
მთლიანი სრული შემოსავალი		-261863.25	-367513.58

Director : Diederik Theodiric Aleven

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 01 იანვარი	1,201,295	-1,088,360	112,935
წმინდა ზარალი	-	-261863.2	-261863
2019 წლის 31 დეკემბერი	1,292,596	-1350223	-57,627


Director : Diederik Theodoric Aleven



ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2019 წლის 31
დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ქართულ
ლარში)

	<u>31.12.2019</u>	<u>31.12.2018</u>
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები	202077	212492
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	259110	204198
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	407534	244207
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	-199288	-240937
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	-91835	-77367
გადახდილი გადასახადები	-458498	-269077
გადახდილი პროცენტები	-117163	-102963
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1936	-29447
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	271	0
არამატერიალური აქტივების შეძენა		
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	271	0
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების კლება	2208	-29447
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	1618	31065
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი	3826	1618

Director : Diederik Theodoric Aleven



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სამეგრელოს ბაღები“ (შემდგომში „საწარმო“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია საქართველოში, რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 05/11/2014 წელს, ს/კ - 405070248

საწარმოს 100% წილის მფლობელები არიან :

- Georgian Fresh Holding B.V., 60288965 /ნიდერლანდები/ _ 51 %
- ადრიანუს ჯოჰანეს მარია ფრანსენ, NU4PDHF6 /ნიდერლანდები/ _ 49 % .

კომპანიის დორექტორი არის დიედერიკ თეოდორიკ ალევანი, რომელიც უშალოდ ჩართულია კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მართვაში.

საწარმოს იურიდიული საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ტექნიკური უნივერსიტეტის შახტა-ლაბორატორიის შესასვლელის მიმდებარედ, (23/2) / თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტის შახტა-ლაბორატორიის მიმდებარედ (ნაკვეთი 23/003) , ფაქტობრივი მისამართი: ქ. ხობი , ჭყონდიდელის ქუჩა 3ა .

მის ძირითად საქმიანობას წამოადგენს ბოსტნეულის და ბაღჩეულის, ძირხვენების და ტუბერების მოყვანა და შემდგომ მათის რეალიზაცია .

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ფასს) შესაბამისად, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით .

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით , თუ სხვაგვარად არ არის მითითებული .

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს მხოლოდ საბანკო ნაშთებს , კომპანიას ნაღდი ფულის ბრუნვა არ აქვს .

კომპანიის ფუნქციონირებადი ვალუტა :

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ლარი (Gel) . უცხოურ ვალუტაში არსებული აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ოფიციალური გაცვლითი კურსით საანგარიშგებო თარიღისათვის .

საქართველოს ოფიციალური გაცვლითი კურსი :

	USD	EUR
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.8677	3.2095
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6766	3.0701

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები :

სავაჭრო მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება გაყიდვიდან მისაღების თანხით. ჩვეულებრივ სავაჭრო მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. როდესაც რეალიზაციის ოპერაცია ცილდება ნორმალურ საკრედიტო პირობებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საწარმო მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს საქონლის გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებულია საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები ხორციელდება ფაქტიური ღირებულებით, ზარალის ანაზღაურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა აისახება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც საწარმომს მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა საწარმოს. სხვა წინასწარი გადახდები გამოიქვეთება მოგება-ზარალიდან, როდესაც ხდება წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს ინფორმაცია, რომ წინასწარ გადახდილი აქტივების, საქონლის ან მომსახურების მიღება არ მოხდება, შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასება გარდა მიწისა ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი პერიოდები:

- სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების მიწა _ ცვეთა არ ერიცხება
- შენობა-ნაგებობა _ 5%
- მანქანა-დანადგარები _ 20 %
- ოფისის აღჭურვილობა _ 20 %
- ავეჯი და სხვა ინვენტარი _ 20 %

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული

თვითღირებულების განაწილება მოხდება აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე: მომსახურების წლები არის 35 წელი .

- გეოთერმული წყლის ლიცენზია
- წყლის ლიცენზია

ცვეთა და ამორტიზაცია

კომპანია ფლობს სასოფლო-აღსასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს , რომლებსაც ცვეთა არ ერიცხება . ძირითად საშუალებების ცვეთის და არამატერიალურ აქტივების ამორტიზაციის ასახვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი მომსახურების წლების შესაბამისად .

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ეროვნულ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში და ხარჯებში. საწარმო ისტორიულად არ ქონია და არც საანგარიშგებო პერიოდში აქვს დასაქმებულთა საპენსიო პროგრამა, ასევე სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომი დამატებითი ანაზღაურების ან სხვა მნიშვნელოვანი საკომპენსაციო პროგრამები, რომლებიც მოითხოვენ დამატებით ხარჯად აღიარებასა და დარიცხვას.

სესხები და გარანტიები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების გამოკლებით, შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით .

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით , სამუშაო ვალუტაში . უცხოური ვალუტით მიღებული მოგება ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთითა და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული მოქმედი ვალუტის ამორტიზირებადი ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებადი ღირებულების სხვაობას .

არაფულადი აქტივები და ვალდებულებები რომლებიც გამოსახულია უცხოურ ვალუტაში და რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით გადაყვანილია სამუშაო ვალუტაში იმ თარიღის კურსით, როდესაც მოხდა რეალური ღირებულების განსაზღვრა .

არაფულადი აქტივები რომლის ისტორიული ღირებულება უცხოურ ვალუტაშია გადაყვანილია სამუშაო ვალუტაში ოპერაციის მოხდენის თარიღის შესაბამისი კურსით .

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში .

საწესდებო კაპიტალი

საწარმოს დადგენილი საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება საწარმოს პარტნიორების მიერ და მასში ცვლილებები განხორციელდება მხოლოდ საწარმოს პარტნიორების გადაწყვეტილებით.

ამონაგები

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი (პროდუქცია) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საგადასახადო კანონმდებლობით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წელს დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას და საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტებს.

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, საგადასახადო კონტროლი ხორციელდება ჯგუფურ (ნაერთ) საგადასახადო დავალიანებაზე, ამიტომ საწარმო საგადასახადო მოთხოვნებსა და ვალდებულებებს წარადგენს ნეტო საფუძველზე.

დივიდენდები

საწარმოს შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და პარტნიორთა გადაწყვეტილებებს.

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებების სახით იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც ის გამოცხადდა. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების შენიშვნებში.

იჯარა

ოპერაციული იჯარა. როდესაც საწარმო წარმოადგენს მოიჯარეს იჯარაში, რომელიც არ ახდენს საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკის და სარგებელის გადაცემას საწარმოსათვის მოიჯარის მხრიდან, მთლიანი იჯარის გადასახადი მიეკუთვნება წლიურ მოგებას ან ზარალს წრფივი მეთოდით იჯარის პერიოდის განმავლობაში. იჯარის პერიოდი წარმოადგენს არაგაუქმებად პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მოიჯარე ხელშეკრულებით ქირაობს აქტივს შემდგომი ვადით, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს არჩევანი გააგრძელოს აქტივის იჯარით ფლობა შემდგომი გადახდით ან გადახდის გარეშე, როდესაც იჯარის დაწყებისას ფაქტია, რომ მოიჯარე გამოიყენებს არჩევანს.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულებების შენიშვნაზე. უზუსტობა აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ურთიერთ დაკავშირებული მხარეები

მხარეები ურთერთდაკავშირებულნი არიან თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან ან ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განაზოცილოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეული დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

		თავდაპირველი ღირებულება	მიწა სასოფლო და არასასოფლო	შენობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვადასხვა ინვენტარი	კაპიტალური დანახარჯები	სულ
1	იანვარი 2018	43638.45	756464.22	366368.97	1682.25	1141.06	3864.34	21186	1194345	
შემოსვლა									0	
პერიოდის ცვეთა			42617.76	48120.75	1120.96	614.03	1654.52	0	94128	
გასვლა									0	
31	დეკემბერი 2018	43638.45	713846.46	318248.22	561.29	527.03	2209.82	21186	1100217	
შემოსვლა				271.19					271	
პერიოდის ცვეთა			67478.12	50150.03	234.67	524.38	1312.3	0	119700	
გასვლა									0	
31	დეკემბერი 2019	43638.45	646368.34	268369.38	326.62	2.65	897.52	21186	980789	

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით. აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

კომპანია ფლობს სამ მიწის ნაკვეთს, რომელთაგან ორი მიწის ნაკვეთი მდებარეობს ხობის რაიონი სოფ ბია -ში, ხოლო ერთი მიწის ნაკვეთი მდებარეობს ხობი, ჭყონდიდელის ჰა _ში .

5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულების ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

თავდაპირველი ღირებულება		გეოთერმული წყლის ლიცენზია	წყლის ლიცენზია	სულ
1	იანვარი 2018	84413	14754.24	14754
შემოსვლა		0	0	0
პერიოდის ცვება		0	0	0
გასვლა		0	0	0
31	დეკემბერი 2018	84413	14754.24	14754
შემოსვლა		0	0	0
პერიოდის ცვება		0	0	0
გასვლა		0	0	0
31	დეკემბერი 2019	84413	14754.24	14754

კომპანიას ეკუთვნის ორი ტიპის არამატერიალური აქტივი გეოთერმული წყლის ლიცენზია და წყლის მოპოვების ორი ლიცენზია .

6. სხვა გრძელვადიანი აქტივები

სხვა გრძელვადიანი აქტივები	2019 წელი	2018 წელი
სხვა აქტივები	219362.84	219362.84
ჯამი სხვა აქტივების :	219362.84	219362.84

7. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	2019 წელი	2018 წელი
ფული საბანკო ანგარიშებზე	3826	1618
სულ :	3826	1618

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019 წელი	2018 წელი
სავაჭრო მოთხოვნები	62039	31046
გადახდილი ავანსები	23891	19802
სულ :	85930	50848

9. სასაქონლო მატერიალური ფასეულობა

საწარმოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019 წელი	2018 წელი
საქონელი	61454.88	60404.49
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1190.72	1190.72
სულ :	62646	61595

საწარმო მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2019 წელი	2018 წელი
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	288787	355121
ვალდებულება პერსონალის წინაშე	0	9725
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	155778	112176
სულ :	444565	477022

11. ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები	2019 წელი	2018 წელი
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1064784	942851
გადასახდელი პროცენტი	155779	112176
ჯამი :	1220563	1055027

ნასესხები სახსრების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ :

დასახელება	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	რაოდენობა ლარში 2019 წელი	რაოდენობა ლარში 2018 წელი
საქართველოს ბანკი	USD	9%	229791	303678
Daniel Floris Wander De Jong	EUR	8%	64156	61370
Diederick Theodoric Aleven	EUR	8%	80238	76753
Adrianus Iohanes Maria Fransen	EUR	8%	228113	162943
Georgian Fresh Holding	EUR	8%	372055	251604
FoodVentures BV	EUR	8%	90431	86503
			1064784	942851

12. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძვნებლო დოკუმენტებში მითითებული კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას .

აქციონერებს უფლება აქვთ მიიღონ დივიდენდები მათი წილის პროპორციულად.

2017 წლის 31 დეკემბრის ბოლოს კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 1 201295 ლარს , 2018 წელში რაიმე ცვლილება არ განხორციელებულა , ხოლო 2019 წელს ის გაიზარდა 91300.8 ლარით და 2019 წლის ბოლოს მისი რაოდენობა შეადგენდა 1 292595 ლარს .

13. ამონაგები

საწარმოს ამონაგები მოიცავს შემოსავალს ბოსტნეულის რეალიზაციიდან

	2019 წელი	2018 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	223528.1	213640.14
ჯამი :	223528.1	213640.14

14. საქონლის თვითღირებულება

	2019 წელი	2018 წელი
საქონლის თვითღირებულება	157211	254067
ჯამი :	157211	254067

15. დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურება	2019 წელი	2018 წელი
დასაქმებულთა ანაზღაურება	43,443	44,025
ჯამი :	43,443	44,025

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2019 წლის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019 წელი	2018 წელი
ბუნებრივი რესურსების სარგებლობის ხარჯი	-	18650.64
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	9533.88	11960.7
შესაფუთი მასალა	-	1902.55
წყლის სინჯების ხარჯი	411.03	2502.1
საიჯარო ქირა	-	3389.84
კომუნიკაციის ხარჯი	813.6	813.4
საწვავის ხარჯი	4554.23	4734.96
დაზღვევის ხარჯი	-	6947.72
საკონსულტაციო ხარჯები	-	21590
დასუფთავების ხარჯი	2890	-
ცვეთა და ამორტიზაცია	119698.5	94128.02
სამეურნეო ხარჯი	8322.42	5516.36
უიმედო ვალები	-	132.19
სხვა საგადასახადო ხარჯი	20485.1	21423.67
ბანკის საკომისიო	1073.12	1219.45
ავტომობილის შეკეთების ხარჯი	486.78	-
ნოტარიუსის ხარჯი	-	155.04
საფოსტო ხარჯები	657	657
სხვადასხვა ხარჯები	-	728.1
სულ :	168925.66	196451.74

17. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი	2019 წელი	2018 წელი
საპროცენტო ხარჯი	64246.15	70965.44
ჯარიმები	185.56	-
სულ :	64431.71	70965.44

18. კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი

კურსთა შორის სხვაობა	2019 წელი	2018 წელი
საკურსო სხვაობა	51702.03	17506.39
სულ :	51702.03	17506.39

19. რეალური ღირებულებები და რისკების მართვა

ა) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და რეალური ღირებულება

რეალური ღირებულების შეფასების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვებისას და გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისას ოპერაციის ფარგლებში, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას. თუმცა შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე რეალური ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულების გადაცემისას. კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება შეფასების ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანია რეალური ღირებულებების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიიღება აქტივების გაყიდვიდან ან გადახდება ვალდებულებების გადაცემით, შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის სტანდარტულ ოპერაციებში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს, ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულება დაანგარიშდება მომავალი ძირითადი თანხისა და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირებულია საანგარიშგებო თარიღისთვის საბაზრო საპროცენტო განაკვეთით. ხელმძღვანელობას სჯერა რომ, კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე კომპანია შემდეგი რისკების წინაშე იმყოფება:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი
- სავალუტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი

I. რისკის მართვის სისტემა

კომპანიის ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა, კომპანიის რისკის მართვის სისტემის დაწესებაზე და გადახედვაზე, ასევე მის განვითარებასა და ზედამხედველობაზე და მფლობელებისთვის მისი მოქმედების შესახებ რეგულარი ანგარიშის წარდგენაზე. კომპანია რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია კომპანიაზე რისკების გაფორმის განსაზღვრისა და ანალიზისთვის. რისკის შესაბამისი ფარგლებისა და კონტროლების დასადგენად, ასევე რისკის და მისი ფარგლების მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხდება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გათვალისწინებით. კომპანიამ ტრეინინგებით, მართველობით, სტანდარტებით და პროცედურებით მიზნად ისახავს რომ განავითაროს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომელშიც ყველა დასაქმებული გააცნობიერებს მის როლსა და მოვალეობებს. მფლობელები ზედამხედველობენ თუ რამდენად შეესაბამება ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული მონიტორინგი კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებს და მიმოხილვას რისკის მართვის სისტემის ადეკვატურობას კომპანიის წინაშე არსებულ რისკებთან დაკავშირებით.

II. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მეორე მხარე არ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და კომპანიას ძირითადად წარმოეშვება ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტებისგან.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზემოქმედება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კომპონენტებისათვის. ექსპოზიციები ეფუძნება წმინდა საბალანსო ღირებულებებს, როგორც ეს აღწერილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო ზემოქმედება ნაჩვენებია ფილიანი, ანუ საკრედიტო გაძლიერების გათვალისწინების გარეშე.

საანგარიშგებო თარიღებში ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზემოქმედება შემდეგია:

	2019	2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	62039	31046
ფული და ფულის ექვივალენტები	3,826	1,618
ჯამი :	65,865	32,664

III . ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა რომ , კომპანია ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები , ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივების საშუალებით . კომპანიის მიერ ლიკვიდურობის მართვის მიდგომა არის რამდენადაც შესაძლებელია გადამოწმება იმისა , რომ ვალდებულებების გაჩენისას კომპანიას ყოველთვის ქონდეს დავალიანების შესაბამისი გადახდისუნარიანობა როგორც ჩვეულ ასევე სტრესულ სიტუაციაში . მისი რეპუტაციის რისკის ქვეშ დაყენების თავიდან აცილებითა და დანაკარგების წარმოშობის გარეშე .

კომპანიას არ აქვს ლიკვიდური რისკის მართვის ფორმალური პოლიტიკა .

იმ შემთხვევაში თუ კომპანიას წარმოექმნება ლიკვიდურობის პრობლემები , შეუძლია მოიპოვოს დაფინანსება მისი მფლობელებისგან .

IV . საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს , რაც მოიცავს სავალუტო , კონვერტაციის განაკვეთების , საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს , რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე . საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე .

კომპანია არ მიმართავს ჰეჯირების პრაქტიკას, მოგება ან ზარალში ვოლეტარულობის სამართავად .

V . სავალუტო რისკი

კომპანიას აქვს რამდენიმე უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები. სავალუტო რისკი არის რისკი, რომ რეალური ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადები იცვლება უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გამო.

VI . საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები შეიცვლება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანია არსებითად არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს, რადგან მას არ გააჩნია ფინანსური აქტივების ან ვალდებულებების ნაშთები, რომლებიც ცვალებადი საპროცენტო განაკვეთების მატარებელია.

20. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა კაპიტალის მართვის სფეროში, მაგრამ მენეჯმენტი ცდილობს შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალი ბაზისთვის კომპანიის ოპერატიული და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ბაზრის მონაწილეების ნდობის შესანარჩუნებლად. ეს მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მენეჯმენტით, კომპანიის შემოსავლებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგით და გრძელვადიანი ინვესტიციის გეგმებით, რომლებიც ძირითადად ფინანსდება კომპანიის მოქმედი ფულადი ნაკადებით. ამ ღონისძიებებით კომპანია მიზნად ისახავს მოგების მუდმივ ზრდას.

კომპანია განაგებს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური პირობების ცვლილებისა და მისი საქმიანობის რისკის მახასიათებლების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიას შეუძლია შეცვალოს აქციონერებისათვის დივიდენდის გადახდის ოდენობა ან აქციონერებს დაუბრუნოს კაპიტალი ან გაზარდოს საწესდებო კაპიტალი.

21. გაუთვალისწინებელი შემთხვევები

ა) სამამართლო დავა

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სასამართლო პროცესები ან სხვა სამართლებრივი მოთხოვნები, რომლებმაც შესაძლოა არსებითი ეფექტი იქონიონ კომპანიის ოპერაციებსა ან ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის აღიარებული ან განმარტებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბ) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, წინააღმდეგობრივია და განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან გასულია 3 წელი.

ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მან ადეკვატურად უზრუნველყო საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

22. ურთიერთდაკავშირებული მხარეები

ურთიერთდაკავშირებული პირები არიან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული მხარეები კომპანიის მიმართ

კომპანიას აქვს ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან სასესხო ვალდებულებები : ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია :

დასახელება	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	რაოდენობა ლარში 2019 წელი	რაოდენობა ლარში 2018 წელი
Adrianus Iohanes Maria Fransen	EUR	8%	228113	162943
Georgian Fresh Holding	EUR	8%	372055	251604
			600167	414547

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას :

- Covid 19 - ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, სხვადასხვა ინდუსტრიები გამოწვევის წინაშე დადგა. კომპანია მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისათვის რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება. თუმცა ჯერ ნაადრევია ზუსტი პროგნოზის გაკეთება თუ რა გავლენა ექნება კრიზისის მის საქმიანობაზე. ასევე, განუსაზღვრელია თუ რა დრო დასჭირდება აღნიშნული კრიზისიდან გამოსვლას, თანაც, ასეთი გლობალური სახის ინტეგრირებული კრიზისი პირველია ქართული ბიზნესის ისტორიაში და კორპორატიულ გამოცდილებას მსგავსი შემთხვევა არ ახსოვს.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენებისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.